ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი№ 13

2023 წელი 5 ოქტომბერი

ქ. ბაღდათი

10:30 საათი

2023 წლის 5 ოქტომბერს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, ზაზა ზივზივაძე.

არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, გია სახამბერიძე,გურამი კიკნაველიძე .

საკრებულოს აპარატიდან:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიიდან მომართვა, სადაც მოთხოვნილია მივცეთ თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ხელი მოაწეროს .ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ . როგორც ნ. გიორგიძემ აღნიშნა „მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 92-ე მუხლი იძლევა საშუალებას მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს აღნიშნული საკითხი და გასცეს შესაბამისი თანხმობა“, რისთვისაც მოწვეულია 6 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა“. ნ. გიორგოძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

დღის წესრიგი

1.ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 8 ბიუროს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“

[illegible]
მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

განკარგულების პროექტი და ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრებს მიაწოდა, გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 8 ბიუროს წევრმა

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც გაიმართება 2023 წლის 6 ოქტომბერს 10:00 საათზე, სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხი:

1.ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**